სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №34

ქ. ბათუმი 19 თებერვალი, 2019 წელი

ერთი მხრივ სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ანანიძის სახით და მეორე მხრივ აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის მაია ივანიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორის როინ მალაყმაძის სამსახურებრივი ბარათის (№ MES 5 19 00146186) საფუძველზე ვდებთ წინამ-დებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყივის) ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტი - საარქივო სამმართველოს სამკითხველო დარბაზში მკვლევართა დაშვება, საქმეთა გაცემა და საარქივო დოკუმენტების ასლების გადაღება (CPV 92512000).

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1800 (ათასრვაასი) ლარს.

2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალის-წინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. შემსყიდველი არ არის ვალდებული შეიძინოს შესყიდვის ობიექტი სრული ოდენობით, შესაბამისად მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს აუთვისებელ თანხაზე.

2.4. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, ვალუტა - ლარი.

2.5. შესყიდვის ობიეტის ფარგლებში გაწეული მომსახურების (მისი ნაწილის, ეტაპის) ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ განხორციელდება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.6. დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ხელშეკრულების პირობების შესრულების სხვაგვარ ზედამხედველობას განახორციელებს <u>**მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი როლანდ ხალვაში.**</u>

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ფინანსური და მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

4.1. მომსახურების გაწევა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ეტაპობრივად, 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. შემსყიდველი ყოველი კონკრეტულად გასაწევი მომსახურების თაობაზე ინფორმაციას აწვდის მიმწოდებელს არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ და ,,მიმწოდებელის” მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.25 %-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 2 (ორი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

7.6. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

8.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულკების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადების დღიდან 2020 წლის 10 თებერვლის ჩათვლით.

11. სხვა პირობები

11.1. არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2. ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

მის.: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35
ს.ნ. 245 428 158 ბ/კ: TRESGE22
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ჯემალ ანანიძე

Jemal Ananidze Digitally signed by Jemal Ananidze
Date: 2019.02.19 14:43:32 +04'00'

„მიმწოდებელი“

აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო
ქ. ბათუმი, ვ. გორგასალის ქ. №126
ს.კ. 245429610 ბ/კ TRESGE22
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი 300923231
საარქივო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი

სამმართველოს უფროსი

მაია ივანიშვილი